28 აპრილი, 2015 წელი

რწმუნებულება № 001/15

ჩვენ მქვემორე ხელის მომწერნი, შპს „გაზვილი“, რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ს/კ 405017716 (შემდგომში როგორც „მარწმუნებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ-ნ თეიმურაზ ნადირაშვილის სახით, წინამდებარე რწმუნებულების საფუძველზე ვანიჭებთ უფლებამოსილებას გიორგი ნონიკაშვილს, პირადი № 01019017946 (შემდგომში, როგორც „რწმუნებული“), რათა მარწმუნებლის სახელით განახორციელოს შემდეგი სახის ქმედებები:

1. „მარწმუნებლის“ სახელით განახორციელოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. თბილისში, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ს/კ 01.14.06.006.026, ასევე იყოს კომპანიის წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოში, ქ. თბილისის მერიის სამსახურებში, მათ შორის ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურში. აღნიშნულთან დაკავშირებით მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტაციას.

2. „რწმუნებული“ უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია წინამდებარე რწმუნებულებით განსაზღვრულ დავალებასთან;

3. „რწმუნებული“ ვალდებულია „მარწმუნებლის“ მიერ, წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება შეასრულოს კეთილსინდისიერად;

4. „რწმუნებული“ ვალდებულია, წინამდებარე რწმუნებულებით გათვალისწინებული დავალება შეასრულოს პირადად;

წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია ერთ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ძალაშია 2015 წლის 28 აპრილიდან და მოქმედებს წინამდებარე რწმუნებულებით განსაზღვრული დავალების შესასრულებლად საჭირო მთელი პერიოდის განმავლობაში;

თეიმურაზ ნადირაშვილი

გენერალური დირექტორი